

# IO სექტემბერი September

12:00

Christoph Eschenbach / piano  
Stathis Karapanos / flute

Georg Philipp Telemann (1681-1767)  
Fantasia for Solo Flute No. 2 in A Minor  
Grave  
Vivace  
Adagio  
Allegro

Carl Philipp Emanuel Bach (1714 – 1788)  
Flute Sonata in A Minor, H.562  
Poco adagio  
Allegro  
Allegro

Franz Schubert (1797 – 1828)  
Sonata for Arpeggione and Piano in A Minor, D. 821  
Allegro moderato  
Adagio  
Allegretto

Otar Taktakishvili (1924-1989)  
Sonata for Flute and Piano in C Major  
Allegro cantabile  
Aria: Moderato con moto  
Allegro scherzando

Paul Taffanel (1844-1908)  
Fantaisie on Themes from "Der Freischütz"

კრისტოფ ეშენბახი / ფორტეპიანო  
სტათის კარაპანოსი / ფლეიტა

გეორგ ფილიპ ტელემანი (1681-1767)  
ფანტაზია სოლო ფლეიტისთვის No. 2 ლა მინორი  
Grave  
Vivace  
Adagio  
Allegro

კარლ ფილიპ ემანუელ ბახი (1714 – 1788)  
სონატა სოლო ფლეიტისთვის ლა მინორი, H.562  
Poco adagio  
Allegro  
Allegro

ფრანც შუბერტი (1797 – 1828)  
სონატა არპეჯიონესა და ფორტეპიანოსთვის ლა მინორი, D. 821  
Allegro moderato  
Adagio  
Allegretto

ოთარ თაქთაქიშვილი (1924-1989)  
სონატა ფლეიტისა და ფორტეპიანოსთვის დო მაჟორი  
Allegro cantabile  
Aria: Moderato con moto  
Allegro scherzando

პოლ ტაფანელი (1844-1908)  
ფანტაზია თემებზე ოპერიდან „ჯადოსნური მსროლელი“

გეორგ ფილიპ ტელემანი

ფანტაზია სოლო ფლეიტისთვის No. 2 ლა მინორი

ტელემანი ფლეიტაზე დაკვრას ადრეული ასაკიდან ეუფლებოდა. ინსტრუმენტის იდეალური ცოდნა ვლინდება მის 12 ფანტაზიაში, რომლებიც სოლო ფლეიტისთვის შეიქმნა. როგორც ბრიტანელი ფლეიტისტი რეიჩელ ბრაუნი აღნიშნავს, კომპოზიტორი თითქოს ეტაპობრივად გვაცნობს ფლეიტას თავის ფანტაზიებში. ამიტომაც დამაბნეველია ის, რასაც ფანტაზიების პირველი გამოცემის ერთადერთი შემორჩენილი ასლის გარეკანზე ვკითხულობთ: *Fantasia per il Violino senza Basso* (ფანტაზიები სოლო ვიოლინოსთვის). გარეკანზე არც თარიღია მოცემული, ხოლო ტელემანის სახელი ფანქრითაა მიწერილი. ბუნებრივია, ჩნდება გარკვეული ეჭვები ფანტაზიების ავტორისა და ადრესატი ინსტრუმენტის მიმართებით. თუმცა ფლეიტისტები, რომელთაც შესრულებული აქვთ კომპოზიციები, და ასევე ბაროკოს მუსიკის მკვლევარი მუსიკისმცოდნეები დამაჯერებლად მიიჩნევენ არგუმენტებს, რომლებიც ფანტაზიებს გერმანელ კომპოზიტორსა და ფლეიტას მიაწერენ; არგუმენტებს შორისაა, მაგალითად, ნანარმოებების ბგერათსიმღლებრივი დიაპაზონი, ფლეიტისთვის ტიპური საკომპოზიციო წერის სტილი, და ა.შ. ის ფაქტი, რომ ფანტაზიების პირველ გამოცემაში სოლო ვიოლინოა მითითებული, შეიძლება აიხსნას იმით, რომ ტელემანის არაერთი ნამუშევრის ინსტრუმენტული შემადგენლობა არ იყო მკაცრად განსაზღვრული. კვლევის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ფანტაზიების პირველი გამოცემა გამოქვეყნდა 1728-1732 წლებში ჰამბურგში, სადაც ტელემანი 1721 წლიდან მოყოლებული მუშაობდა იოჰანნეუმის გიმნაზიის კანტორად. მეორე ფანტაზია არა მხოლოდ ციკლის, არამედ ზოგადად ფლეიტის რეპერტუარის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნანარმოებია.

კარლ ფილიპ ემანუელ ბახი

სონატა სოლო ფლეიტისთვის ლა მინორი, H.562

ტელემანის თორმეტ ფანტაზიასა და იოჰან სებასტიან ბახის ფლეიტის ლა-მინორულ პარტიტასთან ერთად, სწორედ კარლ ფილიპ ემანუელ ბახის ფლეიტის ლა-მინორულმა სონატამ გაამდიდრა მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში სოლო ფლეიტის რეპერტუარი. ბახმა შექმნა სონატა ბერლინში დაახლოებით 1747 წელს, როდესაც ის პრუსიის მეფის ფრიდრიხ II-ის კარზე კლავესინისტად მსახურობდა. საინტერესოა, რომ მეფე ფლეიტისტი გახლდათ და მან არაერთი კომპოზიტორი შთააგონა, მისთვის დაეწერა ნანარმოებები. ამიტომაც ითვლება, რომ ლა-მინორული სონატა ფრიდრიხისთვის დაიწერა. თუმცა, ნანარმოები გამოქვეყნდა მის სიცოცხლეში, 1763 წელს; იმ დროს კი ფრიდრიხ II-ისთვის შექმნილი ნანარმოებების გასაჯაროება არ იყო დაშვებული. შესაძლოა ბახმა გამოსცა სონატა მეფის ნებართვის გარეშე, რაც გარკვეულწილად ხსნის, თუ რატომ დაიბეჭდა სონატა დაწერიდან მხოლოდ 16 წლის შემდეგ. გამოქვეყნებიდან მოყოლებული ლა-მინორული სონატა ფლეიტის რეპერტუარის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ფრანც შუბერტი

სონატა არპეჯიონესა და ფორტეპიანოსთვის ლა მინორი, D. 821 არპეჯიონე არის ექვსსიმნიანი საკრავი, რომლის გრიფზე გიტარის მსგავსად დანაყოფებია მოცემული და ის ასევე გიტარის მსგავსად იწყობა. თუმცა საკრავის ხიდის ფორმა იძლევა ხემით დაკვრის შესაძლებლობას. ამიტომაც, არპეჯიონეს ხშირად გიტარისებრ

ჩელოდაც მოიხსენიებენ. არპეჯიონე 1823 წელს გამოიგონეს ვენელმა ოსტატებმა იოჰან გეორგ შტაუფერმა და პიტერ ტოიფელსდორფერმა. საკრავის შექმნიდან ერთი წლის შემდეგ კი შუბერტმა დაწერა სონატა არპეჯიონესა და ფორტეპიანოსთვის, რომელიც ამ ინსტრუმენტისთვის დაწერილ ერთადერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებად იქცა. სონატა შუბერტს დაუკვეთა მეგობარმა, ვირტუოზმა არპეჯიონისტმა ვინჩენც შუსტერმა. როგორც ჩანს, შუბერტმა ნაწარმოები ყოველგვარი ფინანსური ინტერესის გარეშე დაწერა. სამაგიეროდ, არპეჯიონეს გაფართოებულმა ბგერათსიმალღებრივმა დიაპაზონმა და ექვსსიმიან საკრავზე ვირტუოზული პასაჟების შესრულების გამდიდრებულმა შესაძლებლობებმა შუბერტი შთააგონა, სრულად გამოეყენებინა ახალი ინსტრუმენტის მონაცემები. სამწუხაროდ, პოპულარობის ხანმოკლე, დაახლოებით ათწლიანი პერიოდის შემდეგ არპეჯიონესადმი ინტერესი გაქრა. რაც შეეხება შუბერტის სონატას, ის 1871 წლამდე არ გამოქვეყნებულა. თუმცა მას შემდეგ, არპეჯიონესგან განსხვავებით, არპეჯიონეს სონატა უდიდესი წარმატებითა და პოპულარობით სარგებლობს. ძირითადად იგი სრულდება ჩელოს ან ალტის ტრანსკრიფციით, თუმცა გვხვდება გადამუშავებები სხვა საკრავებისთვისაც. დღეს თქვენ მოისმენთ ვერსიას ფლეიტისა და ფორტეპიანოსთვის.

#### ოთარ თაქთაქიშვილი

სონატა ფლეიტისა და ფორტეპიანოსთვის დო მაჟორი ოთარ თაქთაქიშვილმა თავისი სონატა ფლეიტისა და ფორტეპიანოსთვის 1966 წელს შექმნა. იმის ფონზე, რომ დასავლელი კომპოზიტორები ღია ფორმისა და ალტერნატიული მუსიკის კონცეფციებს არგებდნენ სონატის ჟანრს, თაქთაქიშვილის სონატა წარმოადგენს ნეოკლასიკური სონატის მოდელს, სადაც პირველი ნაწილი დაწერილია სონატურ ფორმაში, მეორე - მარტივ სამნაწილიან ფორმაში, ხოლო ფინალი რონდოა. მართალია თაქთაქიშვილი, ისევე როგორც მისი თაობის ქართველ კომპოზიტორთა უდიდესი ნაწილი, ინფორმირებული იყო დასავლეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, საბჭოთა რეჟიმის გამოისობით ის თავის კოლეგებთან ერთად მაინც იზოლაციაში იმყოფებოდა. გარდა ამისა, პროკოფიევისა და შოსტაკოვიჩის უაღრესად რთული მუსიკალური ენა არაერთხელ იქნა დაგმობილი საჯაროდ. ამ გამოცდილების გათვალისწინებით, საბჭოთა კომპოზიტორთა უმრავლესობა მიმართავდა შედარებით სადა სტილს რაც მუსიკას უფრო ადვილად აღქმადს ხდიდა. თავისი თაობის მრავალი სხვა კომპოზიტორის მსგავსად, თაქთაქიშვილი შთაგონების წყაროდ და მასალადაც იყენებდა ხალხურ შემოქმედებას, რაც ფლეიტის სონატაშიც ვლინდება. საინტერესოა, რომ საბჭოთა კავშირის მხრიდან საავტორო უფლებების დარგში საერთაშორისო ურთიერთობების არარსებობის გამო სონატას 11 წელი დასჭირდა, რათა შეერთებულ შტატებში შესრულებულიყო. თუმცა, პირველივე შესრულების შემდეგ მან უდიდესი პოპულარობა მოიპოვა და ის დღესაც ხშირად სრულდება მსოფლიოს წამყვანი ფლეიტისტების მიერ.

#### პოლ ტაფანელი

ფანტაზია თემებზე ოპერიდან „ჯადოსნური მსროლელი“ ფლეიტის ფრანგული სკოლის დამფუძნებელმა პოლ ტაფანელმა აღზარდა ფლეიტისტთა მთელი თაობა და ასევე თავისი ინსტრუმენტისთვის შექმნა რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც დღესდღეობით ფლეიტის სტანდარტული რეპერტუარის განუყოფელი ნაწილია. ფანტაზია დაწერილი კარლ მარია ფონ ვებერის ოპერის „ჯადოსნური მსროლელი“ თემებზე ერთ-ერთი მათგანია. ტაფანელს ეკუთვნის არაერთი ფანტაზია თუ ვარიაციები თემებზე სხვადასხვა ოპერიდან. იმ დროს ფლეიტისტები ხშირად ქმნიდნენ საკუთარ მუსიკას სხვა კომპოზიტორების თემების საფუძველზე. თუმცა, “იმ ფლეიტისტებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ვირტუოზულობის საჯაროდ ჩვენებას და სხვისი თემების



აკრობატული ვარიაციებით გადაფარვას ისახავდნენ მიზნად, ტაფანელი ორიგინალის მუსიკას ღრმად იაზრებდა. ის თითქოს შიგნიდან გარეთ ქმნიდა“, - წერს ედუარდ ბლეიკმანი წიგნში „ტაფანელი: ფლეიტის გენიოსი“. ეს დამოკიდებულება აისახება არა მხოლოდ ფლეიტის პარტიაში. ვებერის ორკესტრის საოცარი ფერები, მაგალითად, ოსტატურადაა გადააზრებული საფორტეპიანო პარტიაში. „ტაფანელმა აჩვენა“, აგრძელებს ბლეიკმანი, „რომ ფორმის ბრძნულად გააზრებით, ორ საკრავს შორის ნამდვილი პარტნიორობის დამყარებით (როდესაც პიანისტს არ უნევს მხოლოდ მარტივი აკორდების დაკვრა) და ვირტუოზულობის მუსიკაში ინტეგრირებით მართლაც მნიშვნელოვანის თქმა ხდება შესაძლებელი“.

ამ დროს საქართველოში

პირველი ვარიაციები ფლეიტისა და ფორტეპიანოსთვის ქართული აკადემიური მუსიკის ისტორიაში შეიქმნა 1980 წელს. დაწერა ისინი ქართველმა კომპოზიტორმა, დირიჟორმა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგმა ედუარდ სანაძემ (1938-1987). სამწუხაროდ, ვარიაციები მის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა.

Georg Philipp Telemann

Fantasia for Solo Flute No. 2 in A Minor

Telemann learned the flute from an early age. That is why his understanding of the flute is evident throughout all 12 Fantasias for flute solo. Rachel Brown, a British flautist writes that the composer appears to be introducing us to the flute in easy stages, note by note. That is why it is quite confusing that the only surviving copy of the first edition of the Fantasias is entitled *Fantasia per il Violino senza Basso* (Fantasias for Solo Violin). There is no date on the title page and Telemann's name is written in pencil. Therefore, there have been doubts about the authorship of the Fantasias and their instrumentation. Though, many flutists who performed compositions, as well as musicologists researching Baroque music find the arguments that attribute the Fantasias to the German composer and the flute (the range of the works, the writing suited to a flute, etc) persuasive. The fact that the first edition was published as a work for solo violin could be explained by the fact that many of Telemann's works were designated for one instrument or another. Based on research it is assumed that the first edition of Fantasias was published between 1728-1732 in Hamburg where Telemann had been working as Kantor of the Johanneum since 1721. Fantasia No. 2 is one of the most popular pieces not only in the set but also in the flute repertoire.

Carl Philipp Emanuel Bach

Flute Sonata in A Minor, H.562

Along with Telemann's Twelve Fantasias and the A Minor Flute Partita by Johann Sebastian Bach, it was the A Minor Flute Sonata by Carl Philipp Emanuel Bach that enriched the solo flute repertoire in the first half of the 18th century. Bach wrote the Sonata in Berlin around 1747, when he served as the harpsichordist at the court of King Friedrich II of Prussia. Interestingly, the king was a flutist and he inspired various composers to write flute compositions for him. That's why the Friedrich is thought to be the addressee of the sonata. Though, the Sonata was published during his lifetime, in 1763. At the time, works composed for Friedrich II were not permitted to be made public. Bach might have published the work without king's permission that explains why the piece was printed 16 years after the sonata was written. Since then, the Sonata became an inseparable part of flute repertoire.

**Franz Schubert**

**Sonata for Arpeggione and Piano in A Minor, D. 821**

The arpeggione is a six-stringed instrument. It is fretted and tuned like a guitar, but due to its curved bridge it can be bowed like a cello. That's why an alternative name of arpeggione is a guitar violoncello. Arpeggione was invented around 1823, by the Viennese luthiers Johann Georg Stauffer and Peter Teufelsdorfer. Just one year later Schubert composed his Sonata for arpeggione with piano accompaniment that would become the only significant piece written for this instrument. The Sonata was commissioned by Schubert's friend and virtuoso of the arpeggione Vincenz Schuster. Apparently, Schubert composed the Sonata without any financial interest. Arpeggione's extended range and six-string setup with enriched virtuosic opportunities inspired Schubert to fully exploit the possibilities of the new instrument. Unfortunately, after a brief period of popularity for about a decade, the interest for the arpeggione vanished. As for Schubert's Sonata, it was not published until 1871. Though, since then, unlike arpeggione itself, Arpeggione Sonata have been enjoying success and popularity. Mostly it is performed in transcriptions for cello or viola with piano accompaniment, though versions involving other instruments are also played. Today you will hear the transcription for Flute and Piano.

**Otar Taktakishvili**

**Sonata for Flute and Piano in C Major**

Georgian composer Otar Taktakishvili composed his Sonata for Flute and Piano in 1966. Written in the middle of the 20th century, on the background of Western composers exploiting the concepts of open form and aleatoric music in the sonata genre, among other, Taktakishvili's Sonata represents a model of neoclassical sonata form with the first movement composed in sonata form, the second being a simple ternary, and the finale - a rondo. Taktakishvili, as well as his generation of Georgian composers was aware of Western techniques, but due to the Soviet regime, those composers were extremely isolated. Besides, having example of Prokofiev and Shostakovich who had been frequently publicly condemned for their highly complex musical language, the majority of Soviet composers employed a simpler, more accessible style. Like many other composers of his generation, Taktakishvili used regional folk music as sources of inspiration and material. The Flute Sonata is influenced by Georgian folk music and polyphony. Interestingly, due to the USSR's lack of international copyright relations, it took the piece 11 years to reach the United States. Though, since then it has been enjoying its immense international success and popularity.

**Paul Taffanel**

**Fantaisie on Themes from "Der Freischütz"**

The founder of French Flute School Paul Taffanel raised a generation of flute players and composed for his instrument several pieces that nowadays are considered part of the standard flute repertoire Fantaisie on Themes from the opera "Der Freischütz" (The Freeshooter) by Carl Maria von Weber is one of them. Taffanel composed a number of fantasies and variations on themes from operas. At the time, flutists frequently composed their own music based on themes by other composers. Though, "where the average flutist was intent only on producing a vehicle to display his virtuosity, casually overlaying someone else's original themes with acrobatic variations, Taffanel delved deep into the music of the original. He composed from the inside out," writes Edward Blakeman in his book "Taffanel: Genius of the Flute." This attitude is reflected not only in the flute part. Weber's colourful orchestration is masterfully reinterpreted

by Taffanel through piano part. Blakeman continues, “What Taffanel demonstrated, particularly in his first two fantasias, was that with a good formal structure, with a true partnership between the two instruments rather than just chord vamping on the piano, and with the musical application of virtuosity, something valid could still be said.”

#### Meanwhile in Georgia

The very first Variations for Flute and Piano in the history of Georgian art music were composed in 1980, by Edward Sanadze (1938-1987), Georgian composer, conductor and Professor of Tbilisi State Conservatoire. Unfortunately, Variations were not published in his lifetime.